<table>
<tr>
<td>ხელშეკრულება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმის" ფარგლებში გაწეული <u>სასწავლო</u> მომსახურების შესახებ<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს<br>და<br>ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტს<br>შორის</td>
<td>Convention sur les services d'enseignement fournis dans le cadre du double diplôme de Master Tourisme de l'Université d'Etat de Tbilissi Ivane Javakhishvili<br>Entre<br>L'Université Lumière Lyon 2<br>Et<br>L'Université d'État de Tbilissi Ivane Javakhishvili</td>
</tr>
<tr>
<td>ერთი მხრივ,<br>ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტი<br>სამეცნიერო, კულტურული და პროფესიული ტიპის საჯარო დაწესებულება იურიდიული მისამართი: კლოდ ბერნარდი 18, ლიონ სედექსი 07, 69365, საფრანგეთი, წარმოდგენილი პრეზიდენტის ნატალი დომპნიერის მიერ შემდგომში - „ლლუ2“,<br>და მეორე მხრივ,<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>საჯარო დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი 1, 0179 თბილისი წარმოდგენილი თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღანიძე მიერ შემდგომში - „თსუ“ შემდგომში „მხარეები“,<br>2017 წლის 10 მაისს ორ დაწესებულებას შორის საერთაშორისო დონეზე სწავლების განვითარების მიზნით თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულების გათვალისწინებით,<br><br>2019 წლის 12 დეკემბერს ექვს ფრანგულ და ორ ქართულ მხარეს შორის ფქუ-ს შექმნასთან დაკავშირებით ხელმოწერილი საერთაშორისო კონსორციუმის შეთანხმების გათვალისწინებით,<br><br>2020 წლის 3 აპრილს ორივე მხარის მიერ ორმაგი ხარისხის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ხელმოწერილი</td>
<td>Entre les soussignés,<br>L'Université Lumière Lyon 2,<br>Etablissement public à caractère scientifique, culturel et professionnel, adresse : 18 quai Claude Bernard – Lyon 69365 Cedex 07, France, représentée par sa présidente, Nathalie DOMPNIER, dénommé ci-après « l'ULL2 »<br>D'une part, et<br>L'Université d'Etat Ivane Djavakhishvili,<br>Etablissement public, personne morale de droit public, adresse: 1, avenue I. Chavchavadzé, 0179 Tbilissi, représentée par son directeur d'administration, Lasha SAGHANIDZE, dénommé ci-après « l'UET », d'autre part,<br>ci-après conjointement dénommés « les parties »<br>Vu l'accord de coopération signé entre les deux parties le 10 mai 2017 pour le développement de l'enseignement au niveau international,<br>Vu l'accord signé entre six institutions françaises et deux institutions géorgiennes le 12 décembre 2019 sur la création d'un consortium international,<br>Vu l'accord signé par les deux parties le 3 avril 2020 sur le double programme de Master en Tourisme (en vue d'ouvrir le programme en septembre 2020),<br>les parties conviennent de ce qui suit :</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| ხელშეკრულების (2020 წლის სექტემბერში პროგრამის გახსნის მიზნით) გათვალისწინებით,<br>მხარეები თანხმდებიან შემდეგზე: | |
| *მუხლი 1 - ხელშეკრულების მიზანი*<br>წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია თსუ-ს მიერ ლლუ2-სთვის თანხის გადარიცხვის პირობების განსაზღვრა:<br>- ლლუ 2-ის პედაგოგების სამუშაო საათების ანაზღაურება | **Article 1 – Objet de la convention**<br>L'objet de la présente convention est de déterminer les modalités de versement par l'UET à l'ULL2 de :<br>- la rémunération des heures de travail des enseignants de l'ULL2 |
| *მუხლი 2 - დაფინანსება: ლლუ2-ის პროფესორების სწავლების საათების გადახდა*<br>თსუ ვალდებულებას იღებს ლლუ2-ს გადაუხადოს ლლუ2-ის პედაგოგების და სპიკერების მიერ განხორციელებული სწავლების საათების შესაბამისი თანხა, რაც 2021/2022 წლისთვის, 54 საათის სრული სალექციო კურსისთვის შეადგენს 8,100 ევროს, 150 ევროს საათში.<br><br>სანაცვლოდ, ლლუ2-ს იღებს ვალდებულებას დაფაროს ორი აუცილებელი მისიის ღირებულება ლიონი -> თბილისი (მოგზაურობა და დღიური) Erasmus + კრედიტების საერთაშორისო მობილობის დაფინანსებით. | **Article 2 – Financement : rémunération des heures de travail aux enseignants de l'ULL2**<br>L'UET s'engage à verser à l'ULL2 le montant correspondant aux heures d'enseignement dispensées par les enseignants et intervenants de l'ULL2, ce qui représente un montant de 150 € de l'heure, soit 8100 euros pour un ensemble de cours de 54 heures au total pour l'année 2021/2022.<br><br>En contrepartie, l'ULL2 s'engage à prendre en charge le coût des deux missions nécessaires Lyon -> Tbilissi (voyage et per diem) via un financement Erasmus+ Mobilité internationale de crédits. |
| *მუხლი 3 - გადახდის მეთოდები*<br>თსუ ლლუ2-ს ერთიანი გადარიცხვით, გადაუხდის 8,100 ევროს არდადეგების პერიოდამდე - 2022 წლის 1-ელ ივლისამდე.<br>ამ თანხას თსუ უხდის:<br>ლიონ 2-ის უნივერსიტეტის ბუღალტერს<br>საცხოვრებელი ადგილი: ლიონი<br>ბანკის კოდი: 10071; ფილიალის კოდი: 69000<br>ანგარიშის ნომერი: 00001004332 | **Article 3 – Modalités de paiement**<br>L'UET paiera 8100 euros en un seul transfert avant la période des vacances, soit avant le 1er juillet 2022.<br>L'UET paie ce montant à :<br>L'agent comptable de l'Université Lyon 2<br>Domiciliation : TP Lyon<br>Code banque : 10071; Code guichet : 69000<br>Numéro de compte : 00001004332 |
| *მუხლი 4 - ვალდებულებები, ხანგრძლივობა და მოქმედების ვადა*<br>თსუ და ლლუ2 ვალდებულებას იღებენ შეასრულონ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ნებისმიერი სახის ცვლილება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესწორების საგანია.<br>წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წელს (2021-2022). იგი ძალაში შედის ორივე უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის დღიდან. 2022-2023 სასწავლო წლისთვის გამოიცემა ახალი ხელშეკრულება. | **Article 4 - Responsabilités, durée et validité**<br>L'UET et l'ULL2 s'engagent à respecter les conditions énoncées dans la présente convention. Toute modification sera sujette à un amendement signé par les deux parties.<br>Cette convention n'est valable que pour l'année universitaire en cours (2021-2022). Elle entrera en vigueur à la date de sa signature par les personnes autorisées des deux universités. Un nouveau contrat sera émis pour l'année académique 2022-2023. |
| *მუხლი 5 -დავა*<br>5.1 მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ლლუ2-ში თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებული ნებისმიერი გართულების, შეფერხებისა თუ დაგვიანების შესახებ.<br>5.2 ხელშეკრულების ინტერპრეტაციასა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული რაიმე გართულების წარმოშობის შემთხვევაში, მხარეები დავას მოლაპარაკების გზით გადაწყვეტენ.<br>5.3 მოურიგებლობის შემთხვევაში, დავები გადაეცემა სასამართლოს შესაბამის ორგანოს. | **Article 5 – le litige**<br>5.1. Les parties doivent se notifier immédiatement les complications ou retards liés au transfert de fonds à l'ULL2.<br>5.2. En cas de complications liées à l'interprétation de la convention et à son exécution, les parties résoudront le différend par voie de négociation.<br>5.3. En cas de non-règlement, les litiges seront soumis aux tribunaux compétents |

| | |
|---|---|
| *მუხლი 6- ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*<br>იოსებ ხელაშვილი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის ქართველი ხელმძღვანელი გააკონტროლებს, რომ ლლუ2-ის პედაგოგების სამუშაო საათები ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა. | **Article 6 – Contrôle de l'exécution du contrat**<br>Ioseb Khelashvili, responsable géorgien du programme de master conjoint en tourisme de la faculté de l'économie et du business de l'UET, vérifiera que les heures de travail des enseignants de l'ULL2 ont bien été effectuées conformément à l'accord. |
| *მუხლი 7- ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*<br>7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **Article 7- Non-respect des termes du contrat**<br>7.1. Les parties sont responsables l'une envers l'autre des dommages causés par le non-respect ou la mauvaise exécution des obligations contractuelles, conformément à la législation en vigueur en Géorgie. |
| *მუხლი 8- ფორს-მაჟორი*<br>8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.<br>8.2 დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, ეპიდემიას, პანდემიას საკანონმდებლო ცვლილებებს.<br>8.3 დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ.<br>8.4 მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ფორს მაჟორული გარემოებათა დადგომამდეც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. | **Article 8 – Force majeure**<br>8.1 Les Parties sont dégagées de toute responsabilité en cas de non-respect partiel ou complet de leurs obligations découlant de la présente convention qui serait causé par un cas de force majeure.<br>8.2. La force majeure comprend : la guerre et les hostilités, les catastrophes naturelles, les incendies, les grèves, les troubles civils, les épidémies, les pandémies, les changements législatifs.<br>8.3 En cas de force majeure, la partie incapable de remplir ses obligations en informera immédiatement l'autre partie par écrit.<br>8.4. Une partie ne sera pas libérée des responsabilités si la survenance d'un événement de force majeure est causée par sa force, ou si l'exécution de ses obligations était possible avant même la survenance de cas de force majeure dans le délai spécifié dans le présent contrat. |
| **მუხლი 9 - ხელშეკრულების ვერსიები**<br>9.1 წინამდებარე ხელშეკრულება იქმნება ოთხ იდენტურ ეგზემპლარად - ორი ქართულ და ორი ფრანგულ ენაზე. შესაბამისად, ხელი ეწერება ოთხ ორიგინალ ეგზემპლარს. თითოეულ დაწესებულებაში შეინახება თითო ხელშეკრულება ორივე ენაზე.<br>9.2 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება<br>9.3 საგანმანათლებლო/პროფესიული მომსახურებების შესყიდვა (80300000 - მომსახურებები უმაღლესი განათლების სფეროში) SMP210000756. | **Article 9 - Versions du contrat**<br>9.1. La présente convention est rédigée en quatre exemplaires identiques - deux en géorgien et deux en français. En conséquence, les quatre exemplaires originaux sont signés. Chaque établissement conservera une convention dans les deux langues.<br>9.2. Dans les cas non prévus dans le présent contrat, les parties se conformeront à la législation géorgienne en vigueur. En cas d'annulation ou d'invalidation de toute clause de l'accord à la suite de modification de la législation, les clauses restantes de l'accord restent en vigueur.<br>9.3. Acquisition de services d'enseignement/ professionnels (80300000 - Services d'enseignement supérieur) SMP210000756. |

| | |
|---|---|
| 9.4 საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 21 მარტის №919 განკარგულება<br>9.5 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დანართი :<br>დანართი 1: საკონტაქტო პირები | 9.4 . Ordonnance n°919 du président de l'Agence nationale géorgienne des marchés publics du 21 mars 2021.<br>9.5. L'annexe suivante est jointe au présent accord :<br>Annexe 1: Personnes de contact |
| თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | Présidente de l'Université Lumière Lyon 2,<br>Nathalie DOMPNIER |